



აზიზი ნორეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
შეპირისპირებითი ლინგვისტიკა
(Contrastive Linguistics)

ქუთაისი
2012

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:

შეპირისპირებითი ლინგვისტიკა
Contrastive Linguistics

მეცნიერების დარგი:
ლინგვისტიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ფილოლოგიის დოქტორი
Ph.D

პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

პროგრამაში წარმოდგენილი საგნების თანმიმდევრობა ითვალისწინებს დოქტორანტის ცოდნის თანმიმდევრულ განვითარება-გაღრმავებას შეპირისპირებით ლინგვისტიკაში. დოქტორანტს შეუძლია ლინგვისტიკის ამ სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა, ასევე ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით ახალი კვლევითი მიდგომების შემუშავება. შემდგომში დამოუკიდებლად კვლევითი საქმიანობის გაგრძელება.

დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა სამი წელს შეადგენს და ითვალისწინებს ECTS 180 კრედიტის (1 კრედიტი – 25 ასტრონომიული საათი) ათვისებას, მათ შორის:

სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი

დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები -5 კრედიტი

სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები -5 კრედიტი

პედაგოგიური პრაქტიკა -5 კრედიტი

სემინარები- 15 კრედიტი

სასწავლო (დარგობრივი) კურსები -30 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი

დოქტორანტის კოლოკვიუმები - 45 კრედიტი

კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა -15 კრედიტი

სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა -60 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ტელ. +995-431- 24 46 60 (სახლი)

+995-431- 24 22 79 (დეპარტამენტი)

+995 99 26 71 76 (მობილური)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამა „შეპირისპირებითი ლინგვისტიკა“ თანამედროვე ენათმეცნიერების სამი უმნიშვნელოვანესი სფეროს – შეპირისპირებითი ლინგვისტიკის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის და თანამედროვე ანთროპოცენტრიზმის პრობლემატიკას შეისწავლის და მიზნად ისახავს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას ლინგვისტიკაში, კერძოდ, შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მიმართულებით.

წარმოდგენილი პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს კვალიფიციური მკვლევარი-სპეციალისტი შეპირისპირებითი ლინგვისტიკის სპეციალიზაციით. თავისი არსით პროგრამა უწყვეტი თეორიული და პრაქტიკული ციკლის დამამთავრებელი ეტაპია. იგი ძირითად დისციპლინათა შორის ზღვარზე გადის და მოიცავს ზოგადად აქტუალური საკითხების შესწავლისა და კვლევის მიმართულებებს.

სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს საკითხთა მრავალფეროვან წრეს კომუნიკაციური, კოგნიტური, შეპირისპირებითი, გამოყენებითი ლინგვისტიკის სფეროდან. ენის სტრუქტურული მდგომარეობის კვლევის წარმართვა დაგეგმილია გრამატიკის თანამედროვე თეორიების საფუძველზე. საკვლევი საკითხები, თანამედროვე სამყაროს გლობალიზაციის ფონზე, პირველყოვლისა ლინგვისტური და კულტურული იდენტურობის ძიების თვალსაზრისით განიხილება.

კვლევითი საქმიანობის გამოკვეთა შეპირისპირებითი ლინგვისტიკის სპეციალიზაციით განსაკუთრებით აქტუალურად და მიმზიდველად გვეჩვენება შემდგომში ჩვენს უნივერსიტეტში ახალი, მძლავრი და თანამედროვე კვლევითი კერის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მშობლიური და უცხო ენის, პირველ რიგში ქართულის ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ თუ რუსულ ენებთან შეპირისპირებითი ჭრილში შესწავლის კუთხით. სადოქტორო პროგრამის მიზანი გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე თანამედროვე და აქტუალური სამეცნიერო კვლევების წარმართვისათვის მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საზოგადოებაში ჰუმანიზმის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობას ენობრივი რეალიების შეპირისპირების საფუძველზე.

კვლევის მიმართულებები:

სადოქტორო პროგრამის ფორმატში კვლევების ზოგადი მიმართულებები მოიცავს:

- ენის ფუნქციური კვლევას – გრამატიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა და ა.შ.
- ენობრივი სისტემის სინქრონულ-დიაქრონული კვლევას
- ენის კვლევას ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში
- ენობრივი მოვლენების კვლევის კომუნიკაციურ, კოგნიტიურ და კონტრასტულ ასპექტებს

საკვლევი თემატიკა:

- ნარატიული სტრუქტურის სემანტიკური ანალიზი შეპირისპირებით პლანში
- ანთროპონიმური სიმბოლიკის კვლევა შეპირისპირებით პლანში
- სემანტიკური სფეროების ვერბალიზაცია შეპირისპირებით პლანში
- ლინგვოკულტუროლოგიური ფონის ინტერპრეტაცია (ლიტერატურულ) ტექსტებში შეპირისპირებით პლანში
- ლექსიკური მნიშვნელობის ფორმირების კონცეპტუალიზაციის მახასიათებლები შეპირისპირებით პლანში
- კონცეპტების ვერბალიზაციის კვლევა შეპირისპირებით პლანში
- ლინგვოკონცეპტების კვლევა ლინგვოკოგნიტიურ და კომუნიკაციურ ასპექტებში

პროგრამის სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის ფარგლებში, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის შედეგად, დოქტორანტი შეიძენს პირველყოვლისა დარგის – ენათმეცნიერების საფუძვლების სრულფასოვან, სიღრმისეულ, ასევე ზოგადად ლინგვისტიკის ცალკეული სფეროების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას. დოქტორანტი შეძლებს ინოვაციური მეთოდების გამოყენებას სამეცნიერო მუშაობაში რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე. ამაში მას დაეხმარება სასწავლო კომპონენტის ძირითადი და არჩევითი კურსები, ასევე დარგის სწავლების და კვლევის მეთოდოლოგიური მოდულის კურსების შესწავლა, რის საფუძველზეც დოქტორანტი ხელახლა გაიაზრებს და გაანალიზებს მიღებულ ცოდნას, შესაძლებელია გადააფასოს კიდევ. იგი გააცნობიერებს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - დოქტორანტი შეძლებს შეპირისპირებითი ლინგვისტიკის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და წარმართვას, ასევე ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით ახალი კვლევითი მიდგომების შემუშავებას საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვის მიზნით. დოქტორანტი გამოაქვეყნებს პროგრამით გათვალისწინებული კვლევის პროდუქტს – დისერტაციას. სადისერტაციო ნაშრომს პრაქტიკული ღირებულება ექნება დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის; კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსებსა და შესაბამისი მიმართულებით შემდგომი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის.

დასკვნის უნარი - დოქტორანტს გამოუმუშავდება სამეცნიერო თეორიების და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი; ჩამოუყალიბდება მკვლევარის უნარ-ჩვევები, დაეუფლება კვლევის მეთოდებსა და პრინციპებს, შეძლებს საკუთარი მიდგომისა და კონცეპტუალური პოზიციის შემუშავებას, სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირებას.

კომუნიკაციის უნარი – როგორც ლინგვისტიკის მიმართულების დოქტორანტს, რომელსაც შესაბამისი ენის მაღალი დონის კომპეტენცია აქვს, მინიმუმ B2 მაგისტრატურაში, ხოლო დოქტორანტურაში C დონე, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში სწრაფი ორიენტაციის შესაძლებლობა ექნება. დოქტორანტი შეძლებს დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩინოს ახლად მიღებული ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან (კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე) თემატურ პოლემიკაში ჩართვას ლინგვისტიკის პრობლემურ საკითხებზე შესაბამის უცხო ენაზე.

დოქტორანტი ფლობს თანამედროვე კოგნიტიურ მეცნიერებათა საფუძვლებს და კვლევის მეთოდოლოგიას, მას შესწავს ორიგინალური და შემოქმედებითი კვლევის უნარი და შეუძლია გადასცეს შეძენილი ცოდნა და კვლევის შედეგები ფართო საზოგადოებას.

სწავლის უნარი - დოქტორანტს შეეძლება არჩეულ სპეციალობაში ახალი სამეცნიერო იდეების აკუმულირება და განვითარება, რაც დამყარებული იქნება ევროპული, რუსული და ამერიკული სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე. ის შეძლებს დახვეწოს სწავლის და კვლევის პროცესში თეორიული ცოდნა.

ღირებულებები - დოქტორანტი აღჭურვილი იქნება ენობრივი და კულტურული იდენტობის და მრავალფეროვნება-განსხვავებულობის დაფასებისა და პატივისცემის, ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობის უნარით; კეთილსინდისიერი საქმიანობის პრინციპების პატივისცემის უნარით.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის: ლექცია, წიგნზე მუშაობა, საუბარი (სოკრატეს მეთოდი), დისკუსია/დებატები, ევრისტიკული მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, სწავლების ინტერაქტიული და დიალოგური მეთოდები, პრეზენტაცია.

დოქტორანტის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური

შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც შესაბამისი საგნების სილაბუსებში ფიქსირდება.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დეგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დოსერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ.

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს

ზემოაღნიშნული სისტემით.

- ა) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1 „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, 2 „არადამაკმაყოფილებელი“, 3 „დამაკმაყოფილებელი“, 4 „საშუალო“, 5 „კარგი“, 6 „ძალიან კარგი“, 7 „ფრიადი“.

- ბ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E ;
- გ) E განისაზღვრება, როგორც E – თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E არის n , 5 სახის, მაშინ E განისაზღვრება $n + 1$ – ის ტოლად)
- დ) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ა) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ –ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს „სრულიად არაადამაკმაყოფილებელი“ –ით ან „არაადამაკმაყოფილებელი“ –ით)
- ე) საბოლოო შეფასება არის „არაადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ –ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 2$.
- ვ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არაადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.

კომპეტენციათა ცხრილი

საგნის დასახელება	ცოდნა, გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
თანამედროვე ლინგვისტური	+	+	+			

მიმდინარეობები და კვლევის მეთოდოლოგია						
ლინგვოპრაგმატიკა	+	+	+	+		
შეპირისპირებითი ლინგვისტიკა	+	+	+	+		+
კოგნიტური ლინგვისტიკა	+	+	+	+	+	+
სწავლების მეთოდები და თანამედროვე ტექნოლოგიები	+	+		+	+	+
პედპრაქტიკა	+	+	+	+	+	+
ტექსტის ლინგვისტიკა	+	+	+	+		+
გრამატიკის თანამედროვე თეორიები	+	+	+	+		
ქართული დისკურსის პრობლემატიკა	+	+	+	+	+	+
სემიოტიკა	+	+	+	+		
ფსიქოლინგვისტიკა	+	+	+	+		
ლინგვოკულტუროლოგია	+	+		+		+
ქართული ენა და გენდერი	+	+	+	+	+	+
სემინარი	+	+	+	+	+	+
კვლევითი კომპონენტი	+	+	+	+	+	+

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

პედაგოგიური, კვლევითი, ადმინისტრაციული საქმიანობა უნივერსიტეტებში, სხვადასხვა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო, კვლევითი, სასწავლო, თუ სასწავლო-კვლევითი დაწესებულებებში, სამეცნიერო გამომცემლობებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

ამასთანავე შეპირისპირებითი ლინგვისტიკის სადოქტორო პროგრამაში ჩართვის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის დარგში
2. რეფერატის წარმოდგენა სამეცნიერო აპარატურითა და სავარაუდო ხელმძღვანელის რეცენზიით;
3. ძირითადი უცხოური ენის – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ენების C 1 დონეზე ცოდნა (ბრიტანეთის საბჭოს სერთიფიკატი, გოეთეს ინსტიტუტის სერთიფიკატი, გერმანული ენის ავსტრიული დიპლომი, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ გაცემული ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი – (DELF), (TCF));

4. მათ, რომელთა ძირითადი დარგობრივი მიმართულება არ არის ინგლისური ენა, წარმოადგინონ ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატი მინიმალური ენობრივი კომპეტენციით B2. ხოლო, იმ დოქტორანტებს, რომელთა ძირითადი სპეციალობაა ინგლისური ენა, მოეთხოვებათ მეორე უცხოური ენის (ევროპული ენა) ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატი (B2 დონე).
5. მისაღები გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში, კერძოდ, წერითი გამოცდა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში.

ამასთან, კონკრეტული პირობები განსაზღვრულია აწსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (იხ. <http://www.atsu.edu.ge/index.html>)

პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

სასწავლო გეგმა

№	კურსის დასახელება	კურსის სტატუსი	კრედიტი	სულ სთ.	ლ/პრ/გ/დამ	სემესტრები					
						I	II	III	IV	V	VI
						15	15	15	15	15	15
						33	33	33	33	33	33
სასწავლო კომპონენტი											
1	თანამედროვე ლინგვისტური	სავალდ.	5	125	20/10/3/92	5					

	მიმდინარეობები და კვლევის მეთოდოლოგია										
2	ლინგვოპრაგმატიკა	სავალდ.	5	125	20/10/4/91	5					
3	შეპირისპირებითი ლინგვისტიკა	სავალდ.	5	125	20/10/4/91		5				
4	კოგნიტური ლინგვისტიკა	სავალდ.	5	125	20/10/3/92		5				
5	სემინარი	სავალდ.	15	375	20/40/6/184 10/20/3/92	10	5				
6	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდ.	5	125	20/10/3/92			5			
7	პედაგოგიკა	სავალდ.	5	125	0/0/3/122				5		
8	1. ტექსტის ლინგვისტიკა	არჩევ.	5	125	20/10/4/91	5					
	2. ქართული დისკურსის პრობლემატიკა				20/10/4/91						
	3. გრამატიკის თანამედროვე თეორიები				20/10/3/92						
9	1. სემიოტიკა	არჩევ.	5	125	20/10/3/92		5				
	2. ფსიქოლინგვისტიკა				20/10/4/91						
10	1. ლინგვოკულტუროლოგია	არჩევ.	5	125	20/10/4/91			5			
	2. ქართული ენა და გენდერი				20/10/4/91						
სულ			60								
კვლევითი კომპონენტი											
11	კოლოკვიუმები	სავალდ.	45	1125	0/0/6/1119			20	25		
12	კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა	სავალდ.	15	375	0/0/6/369	5	10				
13	სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სავალდ.	60	1500	0/0/18/1482					30	30
სულ			120								
ჯამში			180	3000		30	30	30	30	30	30

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური, გერმანული, კლასიკური და რომანული, სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტების ენების მიმართულებებზე, დეპარტამენტების კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ყოველგვარი ტექნიკური აღჭურვილობით.

უნივერსიტეტის აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდა აწსუ #1114 აუდიტორიის ტექნიკური აღჭურვილობა დისტანციური მართვის რეჟიმში სალექციო თუ სხვა სახის სასწავლო აქტივობის განხორციელების საშუალებას იძლევა ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით.

პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელები და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი:

- ხელმძღვანელი: პროფ. მადონა მეგრელიშვილი
- აწსუ აკადემიური პერსონალი: პროფ. მადონა მეგრელიშვილი, პროფ. იმერი ბასილაძე, ასოც. პროფ. ეკატერინე არჩვაძე, ასოც. პროფ. ეკატერინე გაჩეჩილაძე, ასოც. პროფ. ინგა კიკვიძე, ასოც. პროფ. ეკატერინე ონიანი, ასოც. პროფ. ნინო ფხაკაძე, ასოც. პროფ. ირმა ყიფიანი, ასოც. პროფ. ვალენტინა ჩხეიძე, ასოც. პროფ. მაია ალაგვიძე, ასოც. პროფ. ნ. ნიჟარაძე.
- მოწვეული პროფესორა: ემერიტუსი პროფ. მანფრედ გორლახი (ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, გერმანია), პროფ. რაინონ პარკერი (უელსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), ემერიტუსი პროფ. გურამ ლებანიძე (ილიას უნივერსიტეტი), ემერიტუსი პროფ. ციური ახვლედიანი (თსუ), პროფ. მაია ჩხეიძე (საქართველოს უნივერსიტეტი), ასოც. პროფ. ნინო კირვალიძე (ილიას უნივერსიტეტი), ასოც. პროფ. ნანა გოგოლაშვილი (თსუ).

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია 6-7 დოქტორანტის მიღება.

სადოქტორო პროგრამის განხორციელება ხდება შემდეგი პარტნიორი უნივერსიტეტების ხელშეწყობით:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. ილიას უნივერსიტეტი
3. უელსის უნივერსიტეტი, ნიუპორტი, დიდი ბრიტანეთი
4. მისურის უნივერსიტეტი, აშშ
5. ზამბერგის უნივერსიტეტი, გერმანია
6. გოტინგენის უნივერსიტეტი, გერმანია
7. ვერსალის სენ-კანტენ ან იველინის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფ. მადონა მეგრელიშვილი